EU4Business

# შედეგების შეჯამება

2024





საქართველო





www.eu4business.ge

ევროკავშირი საქართველოსთვის

# EU4Business

# მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

EU4Business ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის აქტივობებს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

## პორტფოლიო საქართველოში 2024 წელს

**54**
პროექტმა
უზრუნველყო მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა

**€311.0**
მილიონი
ევროკავშირის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მთლიანი ბიუჯეტი




ფინანსებზე წვდომა (A2F) €181.5 მილიონი

ბიზნესის განვითარების სერვისები (BDS) €73.3 მილიონი

ბიზნესის ხელშემწყობი გარემო (BEE) €56.2 მილიონი

## შედეგები საქართველოში 2024 წელს

**40,801** მცირე და საშუალო ბიზნესმა მიიღო მხარდაჭერა

**32.3%** იყო ქალების მფლობელობაში არსებული/მართული საწარმოები

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მცირე და საშუალო ბიზნესებში თანამშრომელთა ზრდა **37.8%** -ით.

↑ **12.6%** ზრდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვაში

**453** ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ბიზნესი ჩართო ექსპორტში

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მცირე და საშუალო ბიზნესებში ექსპორტის ↑ **12.6%** -იანი ზრდა

შეიქმნა **51,976** ახალი სამუშაო ადგილი

**€261.4** მილიონი ევრო ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ მიღებული დამატებითი შემოსავალი -

# შედეგები საქართველოში 2024 წელს

## ფინანსებზე წვდომა (A2F)

**32,374**
მცირე და საშუალო ბიზნესმა მიიღო სესხები

**34.1%**
ქალთა საკუთრებაში არსებული/მართული საწარმოების წილი

**€561.4 მილიონი**
გაცემული სესხების მთლიანი ღირებულება

**€17,341**
სესხის საშუალო ოდენობა

**13**
პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობენ EU4Business-თან

- შეღავათიანი სესხები ადგილობრივი ბანკების საშუალებით
- მიკროდაფინანსება საოჯახო ბიზნესებისთვის
- მცირე გრანტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
- ადგილობრივ ბანკებში თანამშრომელთა გადამზადება, რათა ისინი უკეთ მოემსახურონ მცირე და საშუალო საწარმოებს
- ფინანსური წიგნიერების ტრენინგები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

## ბიზნესის განვითარების სერვისები (BDS)

**7,505**
საკონსულტაციო მომსახურება მიეწოდა მცირე და საშუალო ბიზნესს

**22.3%**
ქალთა საკუთრებაში არსებული/მართული საწარმოების წილი

**191**
ბიზნესის მხარდამჭერმა ორგანიზაციამ გააუმჯობესა თავისი შესაძლებლობები

**127**
მცირე და საშუალო ბიზნესმა მიიღო მონაწილეობა B2B შეხვედრებში

- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პირდაპირი კონსულტაცია და ტრენინგები
- ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარება ბიზნესის მხარდამჭერი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის (BSO)
- ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა სტარტაპებისთვის
- ბიზნეს-კლასტერების განვითარება ურთიერთმხარდაჭერისა და განვითარებისთვის
- მთავრობის მხარდაჭერა ახალი ბაზრების აღმოჩენის კუთხით
- ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება

## ბიზნესის ხელშემწყობი გარემო (BEE)

**142**
რეფორმა კანონმდებლობის, პოლიტიკის და პროცედურების მიმართულებით

**44**
სამთავრობო ინსტიტუტმა გააუმჯობესა შესაძლებლობები

**187**
საჯარო და კერძო დიალოგის ღონისძიება ქვეყანაში

- მარეგულირებელი რეფორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა
- გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და მარეგულირებლების შესაძლებლობების განვითარება
- საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ხელშეწყობა
- საწარმოების ინფორმირება განხორციელებული რეფორმების და ახალი წესების/პროცედურების შესახებ

# წარმატების ისტორიები



## სკების დამზადება, უვნებელი სურსათის წარმოება, ახალი კავშირები

სოფელ ხულოში ზებურ იაკობაძე ოჯახის მეფუტკრეობის ტრადიციას ინარჩუნებს — ახლა უკვე თანამედროვე ხელსაწყოებითა და ევროკავშირის მხარდაჭერით. EU4Business-ის გრანტის დახმარებით მან ხის დასამუშავებელი აღჭურვილობა შეიძინა და სკის აშენების დრო დღეებიდან სულ რაღაც რამდენიმე საათამდე შეამცირა. ამ მხარდაჭერის საშუალებით, ზებურმა და მისმა ოჯახმა 150 სკა ააშენეს, თაფლის წარმოება გააფართოვეს და ბაზრებზე გაყიდვებიც დაიწყეს. ზებურმა ევროკავშირის მხარდაჭერილი ტრენინგების წყალობით სურსათის უსაფრთხოების და ბიზნესის მართვის უნარებიც გააუმჯობესა.

იხილეთ სრულად



## EU4Business მეწარმე ქალებს ბიზნესის განვითარებაში ეხმარება

“გურული ეზოს სათბური“ — ირმა ჩალაძის  მიერ სოფელ ერკნეთში დაწყებული სათბურის ბიზნესი — ევროკავშირის დაფინანსებული CESL პროექტის მხარდაჭერით წარმატებით ვითარდება. რუსთავიდან გადასვლის შემდეგ, ჩალაძემ მეორადი სათბური შეიძინა და ადგილობრივი მოვაჭრეებისთვის მწვანილის მიწოდება დაიწყო. პროექტის ტრენინგების წყალობით, ირმამ გაიღრმავა უნარები, რაც საშუალებას აძლევს მას გააფართოოს ბიზნესი და აქტიურად ჩაერთოს აგროტურიზმში. ამჟამად მასპინძლობს საერთაშორისო სტუმრებს ვორქშოპებზე, იმ იმედით, რომ სოფელს ახალი სიცოცხლე შესძინოს და სხვებსაც შთააგონოს მის გზას გაჰყვნენ.

იხილეთ სრულად



## EU4Business ქართულ კაბელის მწარმოებელს მზის ენერგიის გამოყენებაში ეხმარება

1957 წელს დაარსებული „საქკაბელი“ საქართველოს პირველი კაბელების მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც დღეს 75 სახეობის კაბელს უშვებს. კომპანია ადგილობრივ ბაზარზე ლიდერობს, ფლობს რვა შოურუმს და პროდუქცია ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტზე გააქვს — 2018 წლიდან მისი პროდუქცია სრულად შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს. EU4Business–EBRD-ის საკრედიტო ხაზის მხარდაჭერით, „საქკაბელმა“ ზესტაფონში 500 კილოვატიანი მზის ელექტროსადგური დაამონტაჟა, რაც კომპანიის ენერგომოხმარების მესამედს ფარავს და ხარჯებს ამცირებს. ამ ინვესტიციის შედეგად შეიქმნა სერტიფიცირებული „სოლარ“ კაბელი, რომელიც ევროკავშირის ბაზარზეც თავისუფლად გაიყიდება. „საქკაბელი“ აგრძელებს განვითარებას, იმპორტის ჩანაცვლებასა და ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გატანას.

იხილეთ სრულად



## EU4Business საქართველოს ტურიზმის ასოციაციას აძლიერებს

საქართველოს ტურიზმის ასოციაცია (GTA), რომელსაც ნატა კვაჭანტირაძე ხელმძღვანელობს, ქვეყნის მასშტაბით კერძო ტურისტულ კომპანიებს აერთიანებს. EU4Business-ის მხარდაჭერით, GTA-ს წარმომადგენლებმა ესპანეთში, უნგრეთსა და ესტონეთში განხორციელებულ სასწავლო ვიზიტებზე ტურიზმის ინოვაციებისა და განვითარების თანამედროვე მიდგომები შეისწავლეს. შედეგად, ასოციაციამ შექმნა ციფრული ტრანსფორმაციის კომიტეტი და განახორციელა ტრენინგები წევრების ციფრული უნარების გასაძლიერებლად. GTA აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ახალი ტურიზმის შესახებ კანონის შექმნაში, რომელიც ორგანიზებული ტურისტული საქმიანობის რეგულაციების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

იხილეთ სრულად

გაიგეთ მეტი: www.eu4business.ge